ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ს.წეროვანი, დევნილთა დასახლება 02 ივლისი 2018 წელი

ტელ. 577–27–11–88 akhalgori.org.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N19

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2017 წლის მეორე ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1.ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2017 წლის მეორე ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად .

/თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზი ბალამვილი -

დ ა ნ ა რ თ ი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2017 წლის მეორე ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში შემოსულია მოქალაქეთა 70 განცხადება. აქედან, შვებულების მოთხოვნით 47, დასაქმების მოთხოვნით -14. დასაქმების განცხადებები ძირითადად შეეხება წილკნის ბაგა-ბაღში დასაქმებას, მათი მოთხოვნა ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდა.

„საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 01 ივლისიდან ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოხდა თანამდებობათა გარდაქმნა. პროფესიულ საჯარო მოხელეებს მიენიჭათ რანგები და გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები დასაქმებულ პირებთან. დღეისათვის გამგეობაში გვაქვს 61 პროფესიული საჯარო მოხელის შტატი, ამათგან, 59 საშტატო ერთეულზე დანიშნულია მოხელე, ერთ შტატზე დროებითი მოვალეობის შემსრულებელია დანიშნული, ხოლო ორი საშტატო ერთეული - „გდეს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და კორინთის თემის ტერიტორიული ორგანოს მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი „ ამჟამად ვაკანტურია. მინდა გითხრათ ,რომ დღეისათვის ვაკანტური თანამდებობა აღარ არსებობს, ორივე საშტატო ერთეული დაკავებულია. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის დეკემბრის ბოლოს გამოცხადდა კონკურსი ორ ვაკანტურ თანამდებობაზე „გდეს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის კორინთის თემის ტერიტორიული ორგანოს უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მ.წ. ჩვენმა სამსახურმა დახმარება გაუწია წეროვანის და წილკნის დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობას და ხელი შეუწყო აზერბაიჯანულ კომპანია „AZFEN"-თან დაკავშირებაში და დასაქმებაში. ზაფხულში დასაქმდა 6 ადამიანი, შემოდგომით გასაუბრება გაიარა 19-მა და აქედან დასაქმდა 10.